

N1 დანართი

რეგისტრატორისთვის დადგენილი მოთხოვნები

1. განმცხადებელი, რომელსაც სურს გახდეს რეგისტრატორი („განმცხადებელი“), უნდა წარმოადგენდეს სათანადოდ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.
2. **განმცხადებელმა** უნდა წარუდგინოს **ადმინისტრატორს** ინფორმაცია, რომელიც **ადმინისტრატორის** შეფასებით, გონივრულობის ფარგლებში საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ **განმცხადებელს რეგისტრატორის** ფუნქციების შესრულების დაწყების მომენტისთვის აქვს შესაძლებლობა:
 - a) უზრუნველყოს **დომენური სახელის** დარეგისტრირების მსურველის უსაფრთხო და ავტორიზებული წვდომა სარეგისტრაციო პლატფორმაზე;
 - b) განახორციელოს მძლავრი და მასშტაბური სარეგისტრაციო ოპერაციები;
 - c) დროულად უზრუნველყოს **რეგისტრანტის** მოთხოვნის დაკმაყოფილება **დომენური სახელის** სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ;
 - d) შეინახოს სანდო და გამოყენებადი ყოველდღიური მონაცემები, უზრუნველყოს **რეგისტრანტის** სარეგისტრაციო მონაცემების დაარქივება და ბექაფირება;
 - e) შეინახოს ყველა ტრანზაქციის, მიმოწერის და კომუნიკაციის ელექტრონული ასლი, სულ მცირე სარეგისტრაციო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან/და სარეგისტრაციო ხელშეკრულების ვადის გასვლიდან/შეწყვეტიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში;
 - f) უზრუნველყოს ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება და შეძლოს აღმოფხვრას **რეგისტრანტის** საქმიანობის შეფერხება, რომელიც გამოწვეულია განზრახვით ან გაუფრთხილებლობით;
 - g) უზრუნველყოს **ადმინისტრატორთან** გაფორმებული **სარეგისტრაციო ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;
 - h) ჰყავდეს თანამშრომლები, რომლებსაც ექნებათ სათანადო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ წარმართონ **რეგისტრატორის** საქმიანობა. **განმცხადებელს** უნდა შეეძლოს დაასაქმოს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური თანამშრომლები რეგისტრაციის პროცესის უზრუნველსაყოფად, განსაახლებლად და მომხმარებლის მოთხოვნის მოცულობის გონივრულობის ფარგლებში დასაკმაყოფილებლად;
 - i) ჰქონდეს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება **დომენური სახელების** ონლაინ რეგისტრაცია და რეგისტრირებული **დომენური სახელების** რეგისტრის წარმოება. ასეთი ვებ-გვერდის **დომენური სახელის** მფლობელს უნდა წარმოადგენდეს **განმცხადებელი**. ვებ-გვერდი უნდა იძლეოდეს ონლაინ გადახდების განხორციელების საშუალებას, სულ მცირე ვიზა და მასტერ-ქარდ ბარათის მეშვეობით. ვებ-გვერდზე უნდა იყოს გამოქვეყნებული ყველა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა და აუცილებელია რეგისტრაციის პროცესში. ვებ-გვერდის ენა უნდა იყოს ქართული და ინგლისური. ყველა ლინკი ვებ-გვერდზე უნდა მუშაობდეს გამართულად;

- j) უზრუნველყოს ვებ-გვერდის, ბილინგის და დომენის რეგისტრაციის პლატფორმის 99%-იანი ხელმისაწვდომობა და შეუფერხებელი მუშაობა;
 - k) ჰქონდეს **ადმინისტრატორის** სისტემასთან **EPP პროტოკოლით** მუშაობის შესაძლებლობა და უნდა შეეძლოს **სარეგისტრაციო მომსახურების** გაწევა N2 დანართით განსაზღვრული **ტექნიკური პირობების** შესაბამისად.
3. **განმცხადებელმა**, რომელსაც სურს გახდეს **რეგისტრატორი** და წარადგენს საამისოდ სარეგისტრაციო განცხადებას უნდა გადაიხადოს ერთჯერადი მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. მოსაკრებელი დაწესებულია განაცხადის განსახილველად და არ ექვემდებარება დაბრუნებას, მიუხედავად განაცხადის დადასტურებისა ან უარის თქმისა.
4. **განმცხადებელს** უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს სადეპოზიტო შენატანი 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

მხარეთა ხელმოწერები:

რეგისტრატორის სახელით

ადმინისტრატორის სახელით
